ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 380

"2" ოქტომბერი 2015 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქონების მართვის სააგენტოს" 2013 წლის 1 მაისის NE-191-14-7277 გადაწყვეტილებით, ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის წესით სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გამართულ N191 ელექტრონული აუქციონით შპს „ვაკის-პარკისათვის" (ს/კ N406089414) განსაზღვრული ვალდებულებების (პირობების) დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებაზე თანხმობის მიცემისა და ამავე აუქციონის შესაბამისად, თბილისის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებისთვის (შპს „ვაკის-პარკი") შესაბამის ქონებასთან დაკავშირებული პირობების შეცვლის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ" და „დ.ზ" პუნქტების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქონების მართვის სააგენტოს" 2013 წლის 1 მაისის NE-191-14-7277 გადაწყვეტილებით, ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის წესით სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გამართულ N191 ელექტრონული აუქციონით შპს „ვაკის-პარკისათვის" (ს/კ N406089414) განსაზღვრული ვალდებულებების (პირობების) დარღვევისთვის დაკისრებული/ დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებაზე და ამავე აუქციონის შესაბამისად, შეცვალოს თბილისის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებისთვის (შპს „ვაკის-პარკი") შესაბამის ქონებასთან დაკავშირებული პირობები ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 30 სექტემბრის №39.12.1125 განკარგულების შესაბამისად.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი